აგროდაზღვევის განვითარება საქართველოში

ანესაშვილი სოფიკო

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (სადაზღვევო საქმეში)
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სადაზღვევო საქმე

ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა,

მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

30.06.2015

სოფიკო ანესაშვილი

აბსტრაქტი

შესავალი: აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულია სეტყვისგან, ჭარბი ნალექისგან, ქარიშხლისგან და საშემოდგომო ყინვისგან მიყენებულ ზარალის ანაზღაურება.

კვლევის მიზანია: აგროდაზღვევის ძირითადი მიზანია დაიცვას დაზღვეული ფერმერი და მოახდინოს მისი შემოსავლის სტაბილიზაცია, ისე რომ ფერმერის აქტივობები გრძელდებოდეს შეუწყვეტლივ წლების განმავლობაში; ამას აგროდაზღვევა, რეალური ზარალის ანაზღაურების გზით ახორციელებს, იმ შემთხვევაში თუკი მის მიერ დაზღვეული მოვლენა გახდა მოსავლის დაზიანების მიზეზი.

მეთოდოლოგია: თვისებრივი კვლევის ფარგლებში განხორციელდა ფერმერების (გლეხების) გამოკითხვა ჩაღრმავებითი ინტერვიუს მეთოდით.

შედეგები: კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ფერმერებს (გლეხებს) ნაკლებად აქვთ ინფორმაცია აგროდაზღვევის შესახებ. ფერმერთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ მოსავლის დაზღვევა აუცილებელია, თუმცა აგროდაზღვევა შედარებით ნაკლებადაა განვითარებული საქართველოში. აგროდაზღვევის დაბალი განვითარების უმთავრეს მიზეზად დასახელდა სადაზღვევო კომპანიების მიმართ უნდობლობის ფაქტორი.

დასკვნა, რეკომენდაციები: ყველა ნოვაციას ახლავს რიგი პრობლემები, არც აგროდაზღვევაა გამონაკლისი. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ორი ძალზედ აქტუალური და სერიოზული პრობლემა: ნდობის ფაქტორი და რისკის კონტროლი, რომლის დაძლევაც აუცილებელია აგროდაზრვევის საპილოტე პროგრამის დამკვიდრებისათვის საქართველოში. წარმოდგენილი პრობლებლემის გადაჭრის მთავარი და აუცილებელი რეკომენდაციაა მოსახლეობის ინფორმირებულობა

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს პროფესორ თენგიზ ვერულავას. მან საკუთარი კრიტიკული მოსაზრებებით, რჩევებით და წინადადებებით მნიშვნელოვანი დახმარება აღმომიჩინა კვლევის ყველა ეტაპზე.

დიდ მადლობას ვუხდი ბატონ გიორგი მარკოზაშვილს, გიორგი მელაძეს და ალეკო ტერმარკოზაშვილს, რომლებიც დატვირთული გრაფიკის მიუხედავად დაგვთანხმდა ინტერვიუზე.

ასევე, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც კვლევის პროცესში არაერთი საგულისხმო რჩევა მომცა.